სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 55

ქ. ბათუმი

01 --- თებერვალი 2017 წ.

ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის ნადიმ ვარშანიძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „ბადრი გორაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი"), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროგრამა „კოდექსი"-ს განახლება (CPV კოდი 48300000 კოდექსის განახლება).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2520 (ორი ათას ხუთასოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 დაფინანსების წყარო – 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. ანგარიშსწორების ფორმა

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ან მისი ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

4.4 მომსახურება ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)განახლების ფაილების მოწოდებაზე ინტერენეტის საშუალებით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახური.
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების ხარისხის კონტროლს.
6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას "მიმწოდებელს" ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 მომსახურეობის გაწევის ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

11.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრამდე.

11.3 ხელშეკურლება შედგენილია სამ ეგზემპლიარად და სამივე მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23
ტელ: (+995) (222) 5-93-13, 5-93-27.
საბანკო რეკვიზიტები:
შს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ს/კ 248428385
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა №GE88LB0120166231817002

გამგებელი ნ. ვარშანიძე

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

ი.მ. „ბადრი გორაძე“
ტელ: 599 50-87-83,
მის: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის 131
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ს/კ 61001019253
ბ/კ: UGEBGE22
ა.ა..№ GE97 VT55 00000 146743602

ბადრი გორაძე

(ხელმოწერა)